

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში
დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონს (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 22, 18.05.2005, მუხ. 151) დაემატოს შემდეგი შინაარსის 13¹ მუხლი:

„მუხლი 13¹. ტენდერის შედეგების შესახებ ინფორმაციით უზრუნველყოფის ვალდებულება

პრეტენდენტს შესაბამისმა სახელმწიფო ორგანომ უნდა მოსთხოვოს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 19¹ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის წარმოდგენა. იმ შემთხვევაში, თუ რეესტრში შეყვანილი პირი ამ კანონით დადგენილი წესით გაიმარჯვებს ტენდერში, შესაბამისი სახელმწიფო ორგანო ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს აღსრულების ეროვნულ ბიუროს აღნიშნულის თაობაზე.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2009 წლის 1 ივნისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი